რონალდუ დაჯილდოების ცერემონიას არ შეუერთდება
ხუთშაბათი, 29 აგვისტო 2013 21:39

ესპანეთის კლუბ "რეალის" ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ ევროპაში წლის მოთამაშის დაჯილდოების ცერემონიას არ დაესწრება.
პორტუგალიელმა თავდასხმელმა მონაკოში ღონისძიებაზე მისვლას ქალაქ ლა კორუნიაში წასვლა ამჯობინა.
ამავე ქალაქში გერეროს თასისთვის ჩატარებულ მატჩზე "სამეფო კლუბი" "დეპორტივოს" სტუმარი იქნება და თბილისის დროით 21:00-ზე დაიწყება.
აღსანიშნავია, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის სახელისთვის კრიშტიანუ რონალდუს გარდა, ლიონელ მესი ("ბარსელონა", არგენტინა) და ფრანქ რიბერი ("ბავარია", საფრანგეთი) არიან ნომინირებული.

1 / 1